პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 117 (3094) 19 1966 წ. ივნისი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

## ახალი სპორტსკოლა

სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოში" (თავმჯდომარე ა. კუტალია) გაიხსნა ბავშვთა ახალი სპორტსკოლა. აქ იმუშავებენ მძლეოსნობის (2), ფრენბურთის (2), ველოსპორტის (2), ქართული და კლასიკური ჭიდაობის (3) და ფეხბურთის ჯგუფები.

ზუგდიდის „კოლმეურნის" რაიონულმა საბჭომ სპორტსკოლა უკვე დააკომპლექტა მაღალკვალიფიციური კადრებით. სკოლამ მეცადინეობა დაიწყო 15 ივნისს.

გ. ალშიბაია.
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდის რაიონი.

### ცნობები ტოლიდოდან

# მოულოდნელობანი...

ტ ო ლ ი დ ო, 18 ივნისი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა არც ერთი მსოფლიოს ჩემპიონატი არ ყოფილა ისეთი დაძაბული და დრამატული, როგორც წლევანდელი. ტურნირის ბოლომდე ჯერ რამდენიმე წრეა დარჩენილი, მაგრამ ბევრმა ფავორიტმა და ტიტულოვანმა ათლეტმა უკვე დაასრულა თავისი გამოსვლა. საბჭოთა ნაკრებში ეს მწარე ხვედრი იწვნიეს თედეევმა, ბერიაშვილმა და ცხოვრებოვმა.

როგორ წარიმართა III და IV წრის შეხვედრები? უმჩატეს წონაში პირდაპირ ვაჟკაცურად განაგრძობს ბრძოლას ნაკრების დებიუტანტი ალიბეგაშვილი. პირველ ორ წრეში დაგროვილი 5 საჯარიმო ქულა მას მძიმე ტვირთად აწევს და სწორედ ამიტომ ქართველი ათლეტი უაღრესად აგრესიულად მოქმედებს. მომდევნო 2 ბრძოლა ბულგარელ ბაევთან და გფრ-ის წარმომადგენელ ნეფთან მან წმინდად მოიგო.

მჩატე წონაში წარმატებით გამოდის მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ალიევი. მან IV წრეშიც გაიმარჯვა: ამჯერად დაამარცხა პოუზილა (აშშ).

თედეევისათვის (ქვემსუბუქი წონა) IV წრე საბედისწერო გამოდგა. ამერიკელ დუგლასთან წაგებამ იგი ჩემპიონატის მონაწილიდან მაყურებელთა რიგებში გადაიყვანა. იგივე ბედი გაიზიარა ევროპის ჩემპიონმა ბერიაშვილმაც. II წრეში მას სრულიად მოულოდნელად მოუგო ოლიმპიური თამაშების ექს-ჩემპიონმა ვილჩევმა (ბულგარეთი). მართალია, ბერიაშვილმა III წრეში გაიმარჯვა (ფრანგ რობინთან), მაგრამ ამერიკელ ჰოლზერთან მომდევნო ბრძოლაში ერთხელ კიდევ იგემა დამარცხების სიმწარე და ტურნირს გამოეთიშა.

დამაჯერებლად მიიწევს ფინალისაკენ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი სალარაძე. IV წრეში მან ქულებით სძლია კაუფმანს (აშშ). ქვესაშუალო წონაში საუკეთესო მდგომარეობა სწორედ ჩვენს ათლეტს აქვს (3 ქულა). ლიდერს 4-4 საჯარიმო ქულით მოჰყვებიან კაუფმანი და ირანელი ტეხამი.

უხეირო წილისყრის მსხვერპლი გახდა სსრ კავშირის ნაკრების მეორე დებიუტანტი ცხოვრებოვი, (საშუალო წონა). ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონთან, თურქ გიუნგიორთან ფრედ დამთავრებული ბრძოლის შემდეგ, IV წრეში იგი კვლავ მსოფლიო ჩემპიონ მეხტი-ზადეს (ირანი) შეხვდა. ეს დაძაბული ჭიდილიც ფრედ დამთავრდა. საინტერესოა, რომ ცხოვრებოვთან ერთად შემდგომი ბრძოლის უფლება მეხტი-ზადემაც დაკარგა.

დაუმარცხებლად იბრძვის ქვემძიმე წონის ათლეტი მედვედი, რომელმაც IV წრეში ქულებით მოუგო ლიუისს (აშშ). მძიმე წონის ათლეტთა ტურნირს დამაჯერებლად ლიდერობს ივანიცკი, რომელმაც დაამარცხა ბოკი (საფრანგეთი) და ტკესაბურო (იაპონია).

# სიახლენი ჭიდაობაში

**ძალაში შევა 1967 წლის იანვრიდან**

ტ ო ლ ი დ ო, 17 ივნისი. მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატის ან ოლიმპიური ტურნირის წინ ტრადიციულად იმართება ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაციის (ფილა) კონგრესი, რომელიც განიხილავს მთელ რიგ საკვანძო და პრობლემურ საკითხებს. ამ მხრივ არც ტოლიდოში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატი წარმოადგენს გამონაკლისს. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის აქ გამართულმა კონგრესმა რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო.

პირველი — შეხვედრისთვის განკუთვნილი დროის ახლებურ რეგლამენტირებას ეხება. ადრე, როგორც ცნობილია, ყოველი ბრძოლა 2 ხუთწუთიანი პერიოდისგან შედგებოდა. კონგრესის წევრთა ერთიანი მხარდაჭერით ეს წესი შეიცვალა. მომავალში მოჭიდავეები, მოკრივეთა მსგავსად, სამ სამწუთიან რაუნდს ჩაატარებენ. თუ ამ პერიოდში ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, შეხვედრა გაგრძელდება.

— ეს სიახლე ჭიდაობას კიდევ უფრო დინამიურსა და ტემპიანს გახდის, — განაცხადა ფილა-ს გენერალურმა მდივანმა მ. ერცეგანმა (იუგოსლავია). — დამატებითი პერიოდები არაა ლიმიტირებული, მაგრამ ვარაუდობენ, რომ ერთი ან ორი ზედმეტი სამწუთიანი რაუნდის შემდეგ მსაჯს რაღაც გარკვეული გადაწყვეტილების მიღების საშუალება ექნება.

ახალი წესი ძალაში შევა 1967 წლის იანვრიდან.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მეორე გადაწყვეტილებაც, რომელსაც კონგრესის წევრთა უმრავლესობამ დაუჭირა მხარი. საქმე ის არის, რომ ამიერიდან სამბო, თავისუფალსა და კლასიკურის გვერდით, ჭიდაობის სრულუფლებიან წევრად გადაიქცა. ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, სამბო ფილა-ს საერთაშორისო შეჯიბრებების პროგრამაში იქნება შეტანილი.

• • •

კონგრესმა სსრ კავშირის ჭიდაობის ფედერაციას დაავალა ევროპის 1967 წლის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში ჩაატაროს საბჭოთა კავშირში.

# წყალზე და წყალქვეშ



სოხუმის უბეში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა წლევანდელი სეზონის ერთ-ერთი საინტერესო ასპარეზობა — სსრ კავშირის უძლიერესთა შეჯიბრება წყალქვეშა სპორტში. ტურნირში მონაწილეობდნენ რსფსრ-ს, აზერბაიჯანის, უზბეკეთის, ტაჯიკეთისა და საქართველოს სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა გუნდები.

პირველ დღეს გაიმართა ფარფლებით ცურვა. ქალებში ყველას აჯობა რ. პავლოვამ (უზბეკეთი), რომელმაც 500 მეტრი 6 წუთსა და 45,9 წამში დაფარა. ვაჟებს ორჯერ უფრო გრძელი დისტანცია ჰქონდათ გასავლელი. გაიმარჯვა ა. კორენკოვმა (უზბეკეთი) — 12.01,4.

მეორე დღეს ჩატარდა შეჯიბრება ყვინთვაში. ქალთა შორის ისევ პავლოვამ ისახელა თავი, ვაჟებში უძლიერესი იყო პ. ეგორჩევი (აზერბაიჯანი) აქვალანგის, ფარფლებისა და კომპასის დახმარებით წყალქვეშ ცურვის მონაწილეებს 600 მეტრი უნდა დაეფარათ. ქალთა შორის აქ ყველას აჯობა ნორილსკის (რსფსრ) საშუალო სკოლის მერვეკლასელმა ლ. გაილოვამ — 13.20,0. ვაჟებში პირველი იყო ისევ პ. ეგორჩევი — 12.52,8.

ტურნირის ბოლო დღეს ასპარეზობის მონაწილეებს უნდა შეესრულებინათ იგივე ვარჯიში უორენტიროდ, რამაც სპორტსმენებს ბრძოლა გაუძნელა. მოასპარეზეთაგან მხოლოდ რამდენიმემ შეძლო I ზონის გავლა, სხვებმა „0" მიიღეს. ყველას აჯობა საქართველოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა ი. ტიომნიმ, რომელმაც „მშვიდობიანად" გაიარა ორი ზონა.

საერთო ჩათვლაში ქალთა შორის საპრიზო ადგილები მოიპოვეს: I. ლ. გაილოვამ, II. რ. პავლოვამ, III. ს. რუდენკომ (რსფსრ). წარმატებით ასპარეზობდა საქართველოს გუნდის წევრი ვ. მახროვა, რომელმაც ასეთ მნიშვნელოვან შეჯიბრებაში IV ადგილი დაისაკუთრა.

ვაჟებში ყველას აჯობა პ. ეგორჩევმა. II ადგილზეა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების (ნოვოსიბირსკი) სპორტკლუბის წარმომადგენელი ე. კოვალევსკი, III — მისი თანაგუნდელი ა. კორენკოვი. ი. ტიომნი V ადგილზე გავიდა.

გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. აზერბაიჯანი, 2. ციმბირის მეცნიერებათა აკადემია, 3. უზბეკეთი, 4. რსფსრ, 5. საქართველო.

ვ. სემიონოვი.

სოხუმი.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ლ. გაილოვა სტარტის წინ.

ფოტო ავტორისა.



ზაფხული დადგა და სოხუმელმა აფროსნებმაც მომავალი შეჯიბრებებისთვის დაიწყეს მზადება. აფხაზეთის სპარტაკიადის პროგრამაში ხომ ეს სახეობაც არის შეტანილი!

სოხუმის უბეში, სინოპთან, კელასურთან ზღვას მოსდებიან სხვადასხვა კლასის თეთრიფრთიანი ნავები.

ს უ რ ა თ ზ ე: სოხუმელი აფროსნები ვარჯიშის დროს.

ფოტო ვ. სემიონოვისა.

# ბუშინ...

## ფეხბურთი

**მოსკოვში** გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი გუნდები: ცსკა და „სპარტაკი".

მატჩი დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით — 2:1. ანგარიში გახსნა არმიელთა ცენტრფორვარდმა კაზაკოვმა. საპასუხო გოლი გაიტანა სიომინმა, ხოლო იანკინმა გამარჯვება მოუტანა „სპარტაკს".

„ჯ" I ჯგუფი

## ჭადრაკი

**სოხუმში** გაიმართა სსრ კავშირ — იუგოსლავიის მოჭადრაკეთა ამხანაგური მატჩის V ტურში გადადებული პარტიების დამთავრება.

გურგენიძეს ყაიმის შანსები ჰქონდა დიდოსტატ ივკოვთან დაუმთავრებელ პარტიაში. მაგრამ თამაშის განახლებისას, როცა ივკოვმა პაიკში ფიგურა შესწირა, ქართველმა ოსტატმა ვერ მიაგნო სწორ დაცვას და დამარცხდა. ყაიმით დასრულდა კუზმინ — ცვეტკოვიჩის პარტია.

ამრიგად, V ტურის ანგარიშია 5:5, ხოლო დასკვნითი, VI ტურის წინ საბჭოთა მოჭადრაკეები იგებენ ანგარიშით 31,5:18,5.

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

# ბუშინ...

◆ **სან-ხუანი** (პუერტო-რიკო), 18 ივნისი. კუბელმა ენრიკე ფიგუეროლამ, რომელსაც სამშობლოში მოფერებით „კუბელ თანამგზავრს" უწოდებენ, პირველმა თავისუფლების კუნძულის სპორტსმენთაგან მოიპოვა ოქროს მედალი ცენტრალური ამერიკისა და კარიბის სპორტულ თამაშებში. 100 მეტრზე რბენის ფინალში მან აჩვენა ჩინებული დრო — 10,2 წამი, რაც თამაშების ახალი რეკორდია. II ადგილი დაიკავა ცნობილმა ტრინიდადელმა სპრინტერმა ე. რობერტსმა — 10,3 წამი.

◆ ლ ო ნ დ ო ნ ი, 18 ივნისი. ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ქვეყნის ნაკრებისთვის გამოყოფილია 22.000 გირვანქა სტერლინგი. მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვების შემთხვევაში ინგლისის გუნდის ყოველ წევრს ჯილდოდ მიეცემა 1000 გირვანქა სტერლინგი. (საქ. ინფ.).

## უკანასკნელი საათი...

◆ **ლონდონი**, 18 ივნისი. აქაურ „უაიტ-სიტის" სტადიონზე დამთავრდა სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის მძლეოსანთა ტრადიციული მატჩი. დამაჯერებლად გაიმარჯვეს სტუმრებმა — 205:140. საბჭოთა მძლეოსნების უპირატესობა აშკარა იყო როგორც ქალთა, ისე ვაჟთა ასპარეზობაში. ქალებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 71:53, ხოლო ვაჟებმა — 134:87.



საქართველოს განათლების სამინისტროსთან არსებულ ბავშვთა საციგურაო სპორტულ სკოლაში 20 ჯგუფი მეცადინეობს. ამ ჯგუფებში გაერთიანებულია 6-დან 12 წლამდე ასაკის 857 ბავშვი. სკოლის უფროსი მწვრთნელია ვ. რეტივიხი. ამჟამად სკოლაში მიმდინარეობს ასპარეზობა, რომელიც დიდ ინტერესს იწვევს ბავშვებში.

ს უ რ ა თ ზ ე: მე-12 და მე-13 ჯგუფის მოსწავლეები ვარჯიშისას (მწვრთნელი ი. კუკულაძე).

ფოტო ვ. გენგიურისა.

# შარშან მესამენი, წლეულს პირველნი

ჩ ე ბ ო ქ ს ა რ შ ი დამთავრდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების სტუდენტ ქალთა საკავშირო შეჯიბრება კალათბურთში. ტურნირში მონაწილე 12 გუნდი ორ ჯგუფად იყო დაყოფილი. ჯგუფებში I-II ადგილებზე გასულ კოლექტივებს ფინალურ ოთხეულში თამაშის უფლება ეძლეოდათ.

ტურნირი წარმატებით ჩაატარა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდმა, რომელმაც დაძაბულ ბრძოლაში სძლია ლენინგრადის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კოლექტივს (44:41) და ფინალში მონაწილეობის უფლება მიიღო. აქ, ქართველმა სტუდენტებმა დიდი უპირატესობით მოუგეს ჯერ ჯამბულის საინჟინრო-სამელიორაციო ინსტიტუტის კალათბურთელებს (40:28), შემდეგ კი კიშინიოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კოლექტივს. საქართველოს გუნდმა მთელი ტურნირი დაუმარცხებლად განვლო და ჩემპიონის სახელი მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ შარშან ჩვენი კალათბურთელები III საპრიზო ადგილზე იყვნენ.

ტურნირის სნაიპერის სახელი მიეკუთვნა ჩვენი გუნდის ცენტრალურ თავდამსხმელს ე. მაგლაკელიძეს, რომელმაც 5 შეხვედრაში თავის გუნდს 131 ქულა მოუტანა (საშუალოდ ყოველ მატჩში 30 ქულა). გამარჯვებულთა ღირსებას იცავდნენ: ვ. პაპლოვა, ლ. ცქრიალაშვილი, გ. გეგიაძე, მ. დონიაშვილი, ც. ჩაჩანიძე, მ. ალანია, ფ. თარგამაძე, მ. მღვდლიშვილი, ნ. ჩანჩალაძე.

ფ. ლეონიძე.

**კალათბურთი**

# საქართველო— ლენინგრადი 5:3

გლდანის საჭიდაო დარბაზში მოეწყო ლენინგრადისა და საქართველოს სამბისტთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა. უმსუბუქეს წონაში სპორტის ოსტატმა ჩ. ქუცნიაშვილმა ქულებით მოუგო ლენინგრადის ჩემპიონს ი. იკონიცკის. მომდევნო წვრილთა შეხვედრაში წარმატება წილად ხვდა ლენინგრადელ ვ. ლისენკოს, რომელმაც დაამარცხა ბ. ჟიჟიაშვილი.

ქვემსუბუქ წონაში კარგი შთაბეჭდილება დატოვა სსრ კავშირის ჩემპიონატის პრიზიორმა ბ. მარიდაშვილმა. მან 3 წუთში წმინდად მოუგო ა. პუშკარიოვს. მომდევნო წონით კატეგორიაში ლენინგრადელებმა ერთხელ კიდევ გაათანაბრეს ანგარიში: ვ. კოდინცევმა დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა ჩვენი ქვეყნის ექს-ჩემპიონი თ. არაბული.

ამ შეხვედრის შემდეგ საბოლოოდ დაწინაურდნენ ქართველი სამბისტები. საქართველოს ჩემპიონმა ზ. ხაინდრავამ 7 წუთში მოუგო გ. მალადხევსკის. საინტერესო ბრძოლით აღინიშნა გ. გამილაღდაშვილისა და ა. ზაიცევის ორთაბრძოლა. გამარჯვება წილად ხვდა ქართველ სამბისტს. მეხუთე ქულა ჩვენს გუნდს მოუტანა სსრ კავშირის ერთ-ერთმა უძლიერესმა სამბისტმა გ. კახაბრიშვილმა, რომელმაც დაამარცხა გ. კოზლოვი. მძიმე წონაში ლენინგრადელი ბ. შაპოშნიკოვის უპირატესობა აშკარა იყო. მან მოუგო ი. მჭედლიძეს.

გაიმარჯვა საქართველოს გუნდმა — 5:3.

ა. ნუზბაევი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

**ს ა მ ბ ო**

# ქართველი მთამსვლელები ფუძიამას მწვერვალზე

**საქპრესი მოგვითხრობს**

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, 10 ქართველი და 14 იაპონელი მთამსვლელი 17 ივნისს ავიდა იაპონიის ყველაზე მაღალ და ლამაზ მწვერვალზე — ფუძიამაზე.

აი, რა მოუთხრო საქპრესის კორესპონდენტს ქართველ მთამსვლელთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ს. ტაბატაძემ:

— იაპონიაში ერთი კვირის წინ ჩავედით იაპონელ და ქართველ მთამსვლელთა მეგობრობის საზოგადოების მიწვევით. ჩვენს ჯგუფში 11 კაცია, თითქმის ყველა თბილისელი. მათ შორის არიან ინჟინერ-მშენებლები, ფილოლოგები, ისტორიკოსები, ფიზიკოსები. ყველას გვაერთიანებს სიყვარული მამაცთა და გამბედავთა სპორტის — ალპინიზმისადმი. იაპონიაში გატარებულმა დღეებმა დიდი შთაბეჭდილება დაგვიტოვა. ვნახეთ იაპონიის საზღვაო კარი — ქალაქი-ნავსადგური იოკოჰამა, შევხვდით ქალაქის თავს, კანაგავას პრეფექტურის გუბერნატორს, ჩვენს იაპონელ კოლეგებს. ყველგან კარგად მიგვიღეს.

აი, უკვე 24 საათია, რაც ფუძიამაზე ვართ, — განაგრძობს ტაბატაძე. — ვცხოვრობთ არც თუ დიდ სასტუმროში, მეხუთე სადგურზე. იაპონიაში ყველა მთაზე ასვლა 10 ეტაპად ან გაჩერებად არის დაყოფილი. ყოველ ასეთ გაჩერებას სადგური ჰქვია. სადგურებს შორის მანძილები კი მთის სიმაღლეზეა დამოკიდებული. რაც უფრო მაღალია მთა, მით უფრო მეტია ეს მანძილი და პირიქით. ადგილობრივ მოყვარულ-მთამსვლელთა ოსტატობა განისაზღვრება იმით, თუ რომელ სადგურამდე მიუღწევიათ. მათ ყოველ გაჩერებაზე შეუძლიათ შეიძინონ სუვენირი, რომელზეც აღნიშნულია სადგურის ნომერი. ეს ტრადიცია ახლა საგრძნობლად შეიცვალა, ვინაიდან მთები გზებით დაისერა და მთამსვლელებს ფეხით ხეტიალი აღარ უხდებათ. გზის პირველ ნახევარს ისინი უფრო ხშირად ავტობუსით ან მანქანით გადიან, თუმცა სუვენირის მიღების უფლება მაინც აქვთ.

მეხუთე სადგურზე ჩვენ გუშინ საღამოს ჩამოვედით. ბედმა გაგვიღიმა: თურმე რამდენიმე დღე განუწყვეტლივ წვიმდა (ახლა იაპონიაში წვიმების სეზონია) და თითქოს ჩვენს ჩამოსვლას უცდიდა— გადაიკარა. შესანიშნავი ამინდი დადგა. დილით 10 ქართველი და 14 იაპონელი მთამსვლელი გზას გაუდგა. აქა-იქ ბურუსი იდგა, მაგრამ ამან მთამსვლელები ვერ შეაჩერა. შუადღისას მიაღწიეს მიზანს, — ფუძიამას დათოვლილ მწვერვალს. იაპონელ მთამსვლელებთან ერთად ვაშა შესძახეს. აფრიალდა საბჭოთა და იაპონიის სახელმწიფო ალმები. ბიჭებმა „ინტერნაციონალი" წამოიწყეს. საბჭოთა მთამსვლელებიდან ჩვენ პირველებმა დავიპყარით ფუძიამა.

დღეს იოკოჰამაში ვბრუნდებით, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ ვეწვევით იაპონიის ალპებს, სადაც რამდენიმე ძნელად მისადგომ მწვერვალზე ავალთ. სამშობლოში, ალბათ, ივლისის შუა რიცხვებში დავბრუნდებით, თვის ბოლოს კი ჩვენში ჩამოვლენ იაპონელი მთამსვლელები და მათთან ერთად დავლაშქრავთ კავკასიონის მთებს.

# უმეტოქეო პრიზიორები

### თანამედროვე ხუთჭიდელთა შეჯიბრება

როგორც ვიუწყებოდით, თანამედროვე ხუთჭიდში საქართველოს გუნდურ პირველობაში ცხენოსანთა ასპარეზობისა და ფარიკაობის შემდეგ დაწინაურდნენ მასპინძლები — თბილისის I გუნდის წევრები. მათ არც პისტოლეტიდან სროლაში, ცურვასა და მძლეოსნურ კროსში დაუთმიათ პირველობა. ეს მოსალოდნელიც იყო. თბილისის გუნდებს მეტოქე არ ჰყავდათ I და II ადგილებისთვის ბრძოლაში. ფიქრობდნენ, რომ III ადგილისთვის მწვავე „დავა" გაჩაღდებოდა აფხაზეთის და ქუთაისის სპორტსმენებს შორის. მაგრამ ქუთაისელები ცუდად გამოვიდნენ ცხენოსნობასა და ფარიკაობაში, სროლაში II ადგილი დაიკავეს, ყველას ჩამორჩნენ ცურვაში და დაკარგული ქულები ვეღარც მძლეოსნურ კროსში მოპოვებული III ადგილით აინაზღაურეს.

გუნდების ტექნიკური შედეგები (სახეობების მიხედვით) ასეთია: ცხენოსნობა: 1. თბილისი I — 2970 ქულა, 2. თბილისი II—2050, 3. აფხაზეთი — 750; ფარიკაობა: 1. თბილისი I — 3165, 2. თბილისი II — 2945, 3. აფხაზეთი — 2505; სროლა: 1. თბილისი I — 2890, 2. ქუთაისი — 2450, 3. აფხაზეთი—2120; ცურვა: 1. თბილისი I — 2406, 2. თბილისი II — 2205, 3. აფხაზეთი — 1664; მძლეოსნური კროსი: 1. თბილისი I — 3066, 2. თბილისი II — 2937, 3. ქუთაისი—2337.

**საბოლოო გუნდური შედეგები ასეთია: 1. თბილისი I — 13918 (ჯ. ფოჩხუა — 4728, ა. მაროტი — 4651, ლ. სალუქვაძე — 4529), 2. თბილისი II — 10886, 3. აფხაზეთი — 9205.**

თ. ბაჩეჩილაძე.

# ბურთი და მოედანი—ბავშვებს!



**მოსწავლეთა XVIII**

## იზრდება საიმედო ცვლა

ხ ე ლ ბ უ რ თ ე ლ თ ა ასპარეზობამ ერთ კვირას გასტანა. შეჯიბრების პირველსავე დღეს ცხადი გახდა, რომ საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა თბილისელებსაც კი გაუძნელდებოდათ. საქმე ის გახლავთ, რომ რესპუბლიკის სხვა ქალაქების მოსწავლე სპორტსმენებმა შესამჩნევად აიმაღლეს თამაშის კლასი. აი, ფაქტებიც: თბილისის ჭაბუკთა I გუნდმა დიდი გაჭირვებით მოუგო სამხრეთ ოსეთის ნაკრებს (19:16), ქუთაისელმა გოგონებმა კი თბილისელები დაამარცხეს გამანადგურებელი ანგარიშით — 11:4. საკმაოდ დახვეწილი ტექნიკა და ტაქტიკა გვიჩვენეს ბათუმელმა და ქუთაისელმა ჭაბუკებმაც. ცუდად არც აფხაზეთისა და ფოთის გუნდები გამოსულან.

გამოჩნდნენ ხელბურთელები, რომლებიც სულ მალე რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებში თამაშსაც კი შეძლებენ. მაგალითად, გოგონათა შორის: ა. ქელეხსაევა (სამხრეთ ოსეთი), ჯ. ფხაკაძე, ი. ბიბილეიშვილი (ორივენი — ქუთაისი). ჭაბუკებში განსაკუთრებით ქებას ღირსნი არიან ქუთაისელები ი. კოპალიანი, ა. სეფიაშვილი და სხვ.

საპრიზო ადგილები საბოლოოდ ასე განაწილდა: გოგონებში I ადგილი დაიკავეს ქუთაისელებმა, II — თბილისელებმა, III — აჭარის ნაკრებმა. ჭაბუკებში პირველობა არავის დაუთმეს თბილისელებმა. II ადგილზეა აჭარის გუნდი, III — ქუთაისის ნაკრები.

სამწუხაროდ, უნდა ვილაპარაკოთ შეჯიბრების ნაკლზეც. მაგალითად, ასპარეზობის პირველ დღეს სათამაშო მოედანი დახაზული არ იყო და მსაჯებს ძალიან გაუჭირდათ ამა თუ იმ შეცდომის ფიქსირება. შეჯიბრებაში გოგონათა და ჭაბუკთა 8-8 გუნდი მონაწილეობდა, მატჩები კი წრეობრივი სისტემით ჩატარდა და გუნდებს დასვენების ერთი დღეც არ ჰქონიათ (ამას მოზრდილთა შეჯიბრებებშიც კი ითვალისწინებენ). 16 წლის ბავშვებისთვის მთელი კვირის მანძილზე შეუსვენებლად თამაში ყოვლად დაუშვებელია.

ვ. არაქელოვი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

## 5 ქუთაისელი

ბ ა თ უ მ ი ს ცირკში სამ დღეს გაგრძელდა მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება კრივში. გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავა თბილისის, II — ქუთაისის, ხოლო III — აფხაზეთის ნაკრებმა. მასპინძლები IV ადგილს დასჯერდნენ.

ფინალური შეხვედრები (წონითი კატეგორიების მიხედვით) ასე დამთავრდა: ქუთაისელმა გ. ცხადაიამ მოუგო სოხუმელ ვ. ხაირულაევს, თბილისელმა შ. მაჯინიანმა — ბათუმელ გ. სტეპანიანს, ქუთაისელმა ა. გაჩავამ — სოხუმელ რ. ავიძბას, თბილისელმა ო. ამირხანიანმა — სოხუმელ დ. ჩაჩას, ქუთაისელმა ა. გოდერიძემ — თბილისელ ვ. დვორცოვს, ქუთაისელმა ე. შალამბერიძემ — თბილისელ ა. ოგანეზოვს, ქუთაისელმა ჭ. მამისეიშვილმა— თბილისელ მ. ზაბახანიდის, თბილისელმა ვ. შალიმოვმა — ფოთელ მ. ვანცოვსკის, ცხინვალელმა ვ. ცხოვრებოვმა — ბათუმელ ა. კრავჩენკოს.

შეჯიბრება, რომელშიც 56-მა მოკრივემ მიიღო მონაწილეობა, ორგანიზებულად ჩატარდა. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქუთაისელმა მოკრივეებმა, რომლებმაც 5 პირველი ადგილი დაიკავეს და ყველა წონით კატეგორიაში ფიზიკურად და ტექნიკურად კარგად მომზადებული გამოვიდნენ.

სრული გუნდები ვერ წარმოადგინეს ცხინვალის, ფოთისა და ჭიათურის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა.

ა. ჩანტლაძე.

* * *





ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ზედით — მძიმე წონის მოკრივეთა — ბათუმელი ა. კრავჩენკოსა (მარცხნივ) და ცხინვალელი ვ. ცხოვრებოვის ფინალური ბრძოლა. გაიმარჯვა ცხოვრებოვმა; ქვევით — ქუთაისისა და სამხრეთ ოსეთის ხელბურთელთა შეხვედრის მომენტი.

ფოტო ა. ჩანტლაძისა და ი. იუნაევისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

## „ბ" კლასი
### II ჯგუფი I ქვეჯგუფი
### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 ივნისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ყუბანი" (კრასნოდარი) | 12 | 6 | 5 | 1 | 18—5 | 17 |
| „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) | 12 | 6 | 5 | 1 | 17—9 | 17 |
| „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 12 | 7 | 2 | 3 | 20—11 | 16 |
| „თერგი" (გროზნო) | 13 | 5 | 5 | 3 | 12—13 | 15 |
| „დაუგავა" (რიგა) | 12 | 5 | 4 | 3 | 21—11 | 14 |
| „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) | 12 | 5 | 4 | 3 | 14—14 | 14 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 12 | 3 | 7 | 2 | 16—12 | 13 |
| „რუბინი" (ყაზანი) | 12 | 5 | 3 | 4 | 11—10 | 13 |
| „დინამო" (სტავროპოლი) | 13 | 5 | 3 | 5 | 9—11 | 13 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 12 | 3 | 6 | 3 | 10—8 | 12 |
| „სპარტაკი" (ნალჩიკი) | 13 | 4 | 4 | 5 | 10—14 | 12 |
| „დინამო" (ბათუმი) | 12 | 4 | 2 | 6 | 12—15 | 10 |
| „სპარტაკი" (გომელი) | 12 | 3 | 4 | 5 | 7—12 | 10 |
| „ბალტიკა" (კალინინგრადი) | 12 | 2 | 5 | 5 | 5—13 | 9 |
| „დინამო" (ტალინი) | 12 | 2 | 4 | 6 | 10—13 | 8 |
| „როსტსელმაში" (როსტოვი) | 12 | 1 | 6 | 5 | 5—15 | 8 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 13 | 1 | 5 | 7 | 9—20 | 7 |

## „ბ" კლასი IV ზონა

ჩვენი რესპუბლიკის გუნდებს, რომლებიც საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობენ „ბ" კლასის რსფსრ-ს IV ზონაში, გუშინწინ გასვლითი მატჩები ჰქონდათ.

გორის „დილამ" წააგო ორჯონიკიძეში, ადგილობრივ „სპარტაკთან" — 2:4. წააგო გურჯაანის „ალაზანმაც" მახაჩყალის „დინამოსთან" — 1:2.

ფოთის „კოლხიდა" კისლოვოდსკში ეთამაშებოდა ზონის ლიდერს, ადგილობრივ „სპარტაკს". ფოთელებმა აიღეს ქულა — 0:0.

პიატიგორსკის „მაშინოსტროიტელმა" მოუგო ტყიბულის „მეშახტეს" — 2:1, ხოლო დერბენტის „უროჟაისა" და რუსთავის „მეტალურგის" შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2.

დანარჩენი შეხვედრების შედეგებია: „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) — „სევანი" (ოქტემბერიანი) 2:0, „უროჟაი" (კრიმსკი) — „ლორი" (კიროვაკანი) 0:2, „უროჟაი" (მაიკოპი) — „არაქსი" (ერევანი) 2:0, „ურალანი" (ელისტა) — „ლერნაგორცი" (კაფანი) 0:3.

# პროგნოზები და სინამდვილე

პეტროსიან — სპასკის მატჩის წინ ჟურნალისტებმა პირდაპირ იერიში მიიტანეს სახელმოხვეჭილ დიდოსტატებზე — სურდათ გაეგოთ მათი აზრი იმის თაობაზე, თუ როგორ წარიმართებოდა ორთაბრძოლა, ვინ გაიმარჯვებდა. დიდ მოჭადრაკეებს სიტყვა არ დაუმადლებიათ და გულახდილად გამოთქვეს თავიანთი მოსაზრება.

ახლა, როცა მატჩი დამთავრდა, ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნება გავიხსენოთ დიდოსტატთა პროგნოზები.

**მ. ბოტვინიკი:** სპასკი პეტროსიანს აჯობებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაფაზე შექმნის მეტად რთულ პოზიციას, რომელიც განუწყვეტლივ ტაქტიკურ გამონაგარიშებას მოითხოვს. მაშინ პეტროსიანს გამუდმებით მოუხდება ვარიანტების გამოთვლა და „პროფილაქტიკაზე" ფიქრის დრო აღარ დარჩება. თუ მსოფლიო ჩემპიონმა შეძლო ბრძოლის მშვიდ, პოზიციურ, მანევრულ სტილში წარმართვა, მეტოქეთა როლები შეიცვლება: ახლა უკვე სპასკის გაუჭირდება.

*სპასკიმ მხოლოდ მატჩის მეორე ნახევარში შეძლო პეტროსიანისთვის თავს მოეხვია ბოტვინიკის მიერ შეთავაზებული ბრძოლის ტაქტიკა. მაგრამ გადამწყვეტ მომენტში პრეტენდენტს ნერვებმა უღალატა.*

**მ. ტალი:** თუ მე დამამარცხა, რატომ არ შეიძლება რომ სპასკიმ პეტროსიანსაც მოუგოს? შეიძლება.

*საინტერესოა, რომ იუგოსლავიურ გაზეთ „ბორბაში" ტალმა პირდაპირ განაცხადა — სპასკი გაიმარჯვებსო.*

**რ. ფიშერი:** სპასკის უნიკალური სტილი ამჟამად კიდევ უფრო სრულყოფილი ჩანს, მაგრამ დარწმუნებული არა ვარ, რომ პრეტენდენტი უეჭველად მოიგებს მატჩს. პეტროსიანის დამარცხება ძალიან ძნელია.

*ამერიკელმა ჩემპიონმა საკუთარი გამოცდილებიდან იცის, რას ნიშნავს პეტროსიანთან თამაში. ადრე მას უთქვამს, ტიგრანს რომ ყაიმები არ უყვარდეს, ბევრს მოიგებსო. თავად ბობის პეტროსიანთან საკმაოდ ბევრი პარტია წაუგია, მოგებით კი მხოლოდ ერთხელ მოიგო.*

**გ. შტალბერგი:** პეტროსიანს გამარჯვების მეტი შანსი ექნება, თუ ახლაც ისე ითამაშებს, როგორც ბოტვინიკთან თამაშობდა.

*შვეციელი დიდოსტატი ბოტვინიკის 5 მატჩის მთავარი არბიტრი იყო მსოფლიო პირველობაზე და კარგად იცის, რას ნიშნავს საბჭოთა მოჭადრაკეების ლიდერთან მოგება. სხვათა შორის, სპასკისთან მატჩის შემდეგ პეტროსიანმა ერთ-ერთ კორესპონდენტთან საუბარში თქვა: ისე არ დავღლილვარ, როგორც ბოტვინიკთან მატჩში.*

**პ. კერესი:** ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება მატჩი სპასკიმ წააგოს. იგი თითქმის უშეცდომოდ თამაშობს.

*ერთხელ ბრძენიც შეცდება.*

**ს. რეშევსკი:** ჩემი აზრით, სპასკის რამდენადმე მეტი შანსი აქვს: მისი თამაშის სტილი პეტროსიანისთვის უფრო ნაკლებ ხელსაყრელია, ვიდრე, ვთქვათ, ტალის ან კერესისა. მსოფლიო ჩემპიონი მშვიდი, პოზიციური სტილის მოჭადრაკეა, რომელიც ვირტუოზულად იყენებს მეტოქის შეცდომებს, მაგრამ სპასკი შეცდომებს არ უშვებს.

*როგორც ჩანს, უკიდურესობამდე დაძაბულ ბრძოლაში უშეცდომოდ ვერ ითამაშებ.*

**ნ. გაფრინდაშვილი:** მატჩის ბედი ბოლო სამ-ოთხ პარტიაში გადაწყდება.

*ასეც მოხდა.*

**მ. ოლაფსონი:** პეტროსიანი და სპასკი იმდენად თანაბარი ძალის მოჭადრაკეები არიან, რომ გამარჯვებული წინასწარ მხოლოდ შემთხვევით შეიძლება გამოიცნო, მომეცით შესაძლებლობა პეტროსიანსა და სპასკის ორ-ორი პარტია ვეთამაშო და გეტყვით რომელი უკეთეს ფორმაშია.

*ასე რომ შეიძლებოდეს მეტოქეთა „შემოწმება", ალბათ, ყველა პროგნოზი გამართლდებოდა.*

**ბ. ლარსენი:** არ დაკვირვებიხართ, რომ პრეტენდენტთა მატჩებში მუდამ ახალგაზრდა მოჭადრაკე იმარჯვებს? სპასკიმ მოუგო კერესს, გელერმა — სმისლოვს, შემდეგ სპასკიმ — გელერს. მე მოვუგე ივკოვს, ტალმა — მე, სპასკიმ — ტალს. მხოლოდ ერთხელ მოუგო ტალმა მასზე უმცროს პორტიშს. ტყუილად როდი ამბობენ, რომ გამონაკლისი ადასტურებს წესს.

*სწორედ ასეთი გამონაკლისი მოხდა პეტროსიან — სპასკის მატჩშიც.*

**ლ. პორტიში:** ვინ გაიმარჯვებს? ამ კითხვაზე არ ვაპირებ პასუხის გაცემას, თუმცა პეტროსიანთან შეხვედრებში პლუსი მაქვს, სპასკისთან — მინუსი. დარწმუნებული ვარ, ორივე დიდოსტატს თანაბარი შანსი აქვს და მატჩის ბედს გამძლეობა გადაწყვეტს.

*მართლაც, მატჩის ბედი პეტროსიანის გამძლეობამ გადაწყვიტა.*

**მ. ნაიდორფი:** თუ პეტროსიანს ქომაგობთ, ირწმუნეთ, რომ იგი გაიმარჯვებს, თუ სპასკის გულშემატკივრობთ — გწამდეთ მისი. პრეტენდენტს აქვს მოგების შანსი. მე ვამბობ: შანსები თანაბარია!

*არგენტინელმა დიდოსტატმა ტალ — სპასკის მატჩის წინ პირდაპირ განაცხადა: — სპასკი გაიმარჯვებსო. ამჯერად იგი უფრო „გულწრფელი" იყო.*

**ვ. კორჩნოი:** ჩემი აზრით, მატჩში იქნება ძალიან ცოტა შედეგიანი პარტია და 16 ყაიმი.

*ყაიმით დამთავრდა 17 შეხვედრა. შედეგიანი პარტია კი მართლაც ცოტა იყო — 7.*

• • •

შეიძლებოდა კიდევ გაგვეგრძელებინა პროგნოზების მოყვანა, მაგრამ ისედაც ცხადია, რომ პეტროსიანისა და სპასკის კოლეგებს მაინც ძალზე გაუჭირდათ მისნობა, თუმცა მეტოქეთა თამაშის სტილს კარგად იცნობენ. არავის შეეძლო წინასწარ დაესახელებინა გამარჯვებული, ალბათ, არც პეტროსიანსა და სპასკის. პეტროსიანმა მხოლოდ ის განაცხადა, ორთაბრძოლის ბედი ივნისში გადაწყდებაო, რაც სავსებით გამართლდა.

თ. გიორგაძე.

ფეხბურთი

## საქართველოს პირველობა
### გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 19 ივნისისათვის

#### I ჯგუფის II ქვეჯგუფი

I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლაითური" (მახარაძე) | 8 | 6 | 2 | 0 | 11—3 | 14 |
| „ზემო ქართლი" (ხაშური) | 9 | 4 | 3 | 2 | 25—12 | 11 |
| „აერო" (გალი) | 8 | 3 | 4 | 1 | 16—7 | 10 |
| „სამგურალი" (წყალტუბო) | 8 | 4 | 2 | 2 | 10—8 | 10 |
| „ცისარტყელა" (თბილისი) | 8 | 5 | 0 | 3 | 10—9 | 10 |
| „სულორი" (ვანი) | 8 | 2 | 5 | 1 | 8—7 | 9 |
| „კოლხიდა" (ხობი) | 8 | 3 | 2 | 3 | 8—8 | 8 |
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 7 | 3 | 2 | 2 | 5—6 | 8 |
| „კოლხიდმშენი" (ფოთი) | 9 | 3 | 2 | 4 | 10—17 | 8 |
| „საირმე" (მაიაკოვსკი) | 8 | 2 | 3 | 3 | 9—13 | 7 |
| „მშენებელი" (ჭიათურა) | 8 | 3 | 0 | 5 | 12—16 | 6 |
| „ჩიხურა" (საჩხერე) | 8 | 1 | 2 | 5 | 5—18 | 4 |
| „ცისკარა" (ბათუმი) | 9 | 0 | 1 | 8 | 1—6 | 1 |

II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „გარეჯი" (საგარეჯო) | 7 | 6 | 1 | 0 | 14—13 | 13 |
| „დურუჯი" (ყვარელი) | 9 | 5 | 2 | 2 | 19—9 | 12 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 8 | 3 | 3 | 2 | 17—11 | 9 |
| „ნადიკვარი" (თელავი) | 7 | 4 | 1 | 2 | 8—7 | 9 |
| „კოლმეურნე" (მარნეული) | 8 | 2 | 4 | 2 | 11—13 | 8 |
| „ბახტრიონი" (ახმეტა) | 7 | 2 | 3 | 2 | 8—10 | 7 |
| „არაგვი" (მცხეთა) | 7 | 2 | 3 | 2 | 9—14 | 7 |
| „სამცხე" (ახლციხე) | 7 | 1 | 4 | 2 | 5—7 | 6 |
| „თრიალეთი" (წალკა) | 7 | 1 | 4 | 2 | 3—6 | 6 |
| „ჰერეთი" (ლაგოდეხი) | 7 | 1 | 3 | 3 | 5—7 | 5 |
| „შირაქი" (წითელწყარო) | 6 | 0 | 4 | 2 | 7—9 | 4 |
| „არაგვი" (დუშეთი) | 8 | 1 | 1 | 6 | 8—17 | 3 |

შენიშვნა: მუკუზნის გუნდის გათამაშებიდან მოხსნის გამო მასთან ყველა შეხვედრის შედეგები გაუქმებულია.

## ჭაბუკთა ფინალური ტურნირი

თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გუშინ გრძელდებოდა „ა" და „ბ" კლასების ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივებთან არსებული მოსამზადებელი გუნდების რესპუბლიკური ფინალური ტურნირი.

საინტერესო ბრძოლაში მიმდინარეობდა სოხუმის „დინამოსა" და თბილისის „ლოკომოტივის" შეხვედრა. ანგარიში გახსნეს სოხუმელებმა. შემდგომში „ლოკომოტივმა" ჯერ გაქვითა გოლი, ხოლო მატჩის მიწურულში გაიტანა გადამწყვეტი ბურთი და გაიმარჯვა — 2:1.

თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლისა და ქუთაისის „ტორპედოს" შეხვედრა მოიგეს ქუთაისელებმა — 2:1.

თბილისის „დინამომ" დაამარცხა გორის „დილა" — 3:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 ივნისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (თბილისი) | 4 | 3 | 0 | 1 | 8—2 | 6 |
| ახალგ. საფეხ. სკოლა (თბილისი) | 4 | 2 | 1 | 1 | 5—2 | 5 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 4 | 2 | 1 | 1 | 5—5 | 5 |
| „დინამო" (სოხუმი) | 4 | 1 | 2 | 1 | 5—4 | 4 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 4 | 1 | 1 | 2 | 4—6 | 3 |
| „დილა" (გორი) | 4 | 0 | 1 | 3 | 0—7 | 1 |

დღეს „ლოკომოტივის" სტადიონზე ტურნირის დასკვნითი დღეა. 9 საათზე თამაშობენ სოხუმისა და თბილისის დინამოელები, 17 საათზე — „ტორპედო" (ქუთაისი) — „დილა" (გორი), 19 საათზე — ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „ლოკომოტივი" (თბილისი).



„ლელოს" ფურცლებზე თქვენ ხშირად წაგიკითხავთ საინტერესო მასალა წარწერით: „ახალი ამბების სააგენტო" (ას-ი). ეს ორგანიზაცია არც თუ დიდი ხანია ჩამოყალიბდა და დიდი პოპულარობა მოიხვეჭა მკითხველთა ფართო საზოგადოებაში.

ას-ი დიდ ყურადღებას უთმობს სპორტს. ჟურნალ-გაზეთებში უხვად იბეჭდება მის მიერ მომზადებული მასალა, — წერილები, რომლებიც ამხილებენ ბურჟუაზიული სპორტის მანკიერებას, გვაუწყებენ საბჭოთა სპორტის გამარჯვების ამბებს, გვაწვდიან ცნობებს მსოფლიო მნიშვნელობის სპორტული ღონისძიებების შესახებ, გვთავაზობენ პროგნოზებს და სხვ. სააგენტო უცხოეთში სისტემატურად გამოსცემს ჟურნალ-გაზეთებს და იქაურ მკითხველს აცნობს საბჭოთა ქვეყნის მრეწველობას, სოფლის მეურნეობას, კულტურას... იგი ფართოდ აშუქებს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა საქმიანობასაც, ჩვენს მიღწევებს კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, რასაკვირველია, ფიზკულტურასა და სპორტშიც.

ხვალ ჩვენს დედაქალაქში იხსნება ახალი ამბების სააგენტოს საქართველოს განყოფილება (მანამდე ჩვენთან ამ ორგანიზაციის მხოლოდ ერთი კორესპონდენტი მუშაობდა). ამიერიდან ჩვენი რესპუბლიკა კიდევ უფრო ფართოდ წარსდგება მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე.

*ეს ფოტოსურათები ამოღებულია ახალი ამბების სააგენტოს მიერ უცხოეთში გამოცემული ჟურნალებიდან. მარცხნივ — ნარკვევი მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ რ. აბაშიძეზე (ჟურნალი „კრაი რადი", პოლონეთი). მარჯვენა სურათზე თქვენ ხედავთ ოლიმპიურ ჩემპიონს დ. ციმაკურიძეს, რომელსაც მარწუხებში მოუმწყვდევია მეტოქე. აქვეა დაბეჭდილი მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის გ. კარტოზიას პორტრეტი (ჟურნალი „სოვიეტ უიკლი", ინგლისი).*




## ახალი ამბების სააგენტოს საქართველოს განყოფილება




## მექსიკის გუნდი

მექსიკის ფეხბურთის ფედერაციამ გამოაქვეყნა მსოფლიო ჩემპიონატზე გასამგზავრებელი 22 ფეხბურთელის გვარი. მ ე კ ა რ ე ე ბ ი: კარბახალი, კალდერონი, ვარგასი; მ ც ვ ე ლ ე ბ ი: გონსალესი, ჩაირესი, დელ მურო, მუნიოსი, პენია, ხაურეგი, ერნანდესი; ნ ა ხ ე ვ ა რ მ ც ვ ე ლ ე ბ ი: ისიდორო, მერკადო, რეგეირო, რუვალკაბა; თ ა ვ დ ა მ ს ხ მ ე ლ ე ბ ი: ხარა, მუნიოსი, რეიესი, სისნეროსი, ბორხა, ფრაგოსო, პადილია, ნავარო.

## უნგრელები ემზადებიან

ბ უ დ ა პ ე შ ტ ი, 17 ივნისი. დღეს დამთავრდა ხანმოკლე შეკრება იმ უნგრელი ფეხბურთელებისა, რომლებმაც მონაწილეობა უნდა მიიღონ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში. ისინი ახლა გაემგზავრნენ მთიან ადგილას — გაიიატეტში, სადაც საბოლოო წვრთნას გაივლიან ოქროს ქალღმერთისთვის ბრძოლის წინ.

როგორც ნაკრების მწვრთნელმა რ. ილოვსკიმ განაცხადა, — გაიიატეტში სპორტსმენები უბურთოდ ივარჯიშებენ. ბურთს ისინი მხოლოდ ადგილობრივ გუნდებთან 4 ამხანაგური მატჩის დროს მიიღებენ. მზადების პროგრამაშია რბენა, ვარჯიშები სისწრაფის, ძალის, მოქნილობისა და მოხერხებულობის გამოსამუშავებლად. თვითეულ საწვრთნელ მეცადინეობას ექვსნახევარი საათი დაეთმობა. ასეთი ვარჯიში კი ცოტა როდი ექნებათ.

ფეხბურთელები ბუდაპეშტში დაბრუნდებიან 25 ივნისს. 26-ში გამოსასვლელი დღე ექნებათ. 27 ივნისს აეროპორტის სასტუმროში გაატარებენ, დილით კი გზას გაუდგებიან, რომ მატჩები გამართონ საფრანგეთსა და ჰოლანდიაში. შემდეგ კი... ინგლისისკენ აიღებენ გეზს. ინგლისს გაემგზავრება 18 სპორტსმენი, დანარჩენი 4 კი ბუდაპეშტში რეზერვად დარჩება.

სპეციალისტთა აზრით, ამ 18 ფეხბურთელს შორის იქნებიან: მ ე კ ა რ ე ე ბ ი: სენტმიხაი. გელეი; მ ც ვ ე ლ ე ბ ი: კაპოსტა, მატრაი, შოვარი, მესეი, შიპოში, ეხასი; ნ ა ხ ე ვ ა რ მ ც ვ ე ლ ე ბ ი: იშტვან ნადი, მატეში, შეპეში; თ ა ვ დ ა მ ს ხ მ ე ლ ე ბ ი: ბენე, ვარგა, ალბერტი, რაკოში, ფარკაში, ფენვეში და მოლნარი. აქედან ექვსმა ფეხბურთელმა წინა ჩემპიონატშიც მიიღო მონაწილეობა. ესენი არიან: მატრაი, მესეი, შიპოში, ალბერტი, რაკოში და ფენვეში.

ფეხბურთის აღიარებულ მცოდნეთ უნგრეთის ნაკრების საბრძოლო შემადგენლობა ასე ესახებათ: სენტმიხაი, კაპოსტა, მესეი, შიპოში, შოვარი, მატეში, რაკოში, ბენე, ალბერტი, ფარკაში, ფენვეში.

## ეონის მაგიერ კარნიუ

საფრანგეთის ნაკრების მეკარის დ. ეონის დაშავებამ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ნაკრები. საფრანგეთში ამჟამად არ არის ეონის ძალის მეკარე. ჟ. შიუტი აგრეთვე მძიმედაა დაშავებული, ხოლო ნაკრების ყოფილი მეკარე ობური ცუდ ფორმაშია. რამდენიმე დღის წინ მწვრთნელმა ა. გერენმა განაცხადა, რომ ეონს შეცვლის პარიზის „სტად ფრანსეს“ მეკარე ჟ. კარნიუ. მართალია, კარნიუმ ამ სეზონში 57 გოლი გაუშვა „სტად ფრანსეში“ (პრესა თვლის, რომ ამაში უფრო მეტად გუნდის დაცვაა დამნაშავე), იგი გამოცდილ ფეხბურთელად ითვლება.

## ფ. ლ. ჩიკვილაძე



შუბლგახსნილი, კეთილი, [illegible] ამხანაგური და მოსიყვარულე — ასეთი იყო სპორტის დამსახურებული ოსტატი ფარნაოზ ჩიკვილაძე, რომელსაც ბრმა შემთხვევამ ვაჟკაცური სიმწიფის ასაკში მოუსწრაფა სიცოცხლე. ფარნაოზი 25 წლისა იყო. და მაინც, მისი ხანმოკლე სიცოცხლე შთამბეჭდავი მაგალითია მათთვის, ვისაც ჭეშმარიტად უყვარს ცხოვრება, შემოქმედება, სპორტი.

ფარნაოზ ჩიკვილაძე დაიბადა 1941 წელს ახმეტის რაიონის სოფელ ჩაბინაანში. ქართული ჭიდაობის სიყვარული მას აკვნიდან დაჰყვა, სიჭაბუკეში თავისუფალი ჭიდაობითა და სამბოთი იყო გატაცებული, დალვინების ასაკში კი მთელი თავისი ცხოვრება ძიუ-დოს დაუკავშირა.

მთელი ცხოვრებაო, ვამბობთ, მაგრამ ფარნაოზს ჰქონდა კიდევ ერთი სიყვარული, რომელსაც სპორტისგან არ გამოარჩევდა. ეს იყო ქართული მეცნიერების ტაძარი — უნივერსიტეტი, სადაც ფარნაოზი ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის ასპირანტი გახლდათ. იგი დიდი გატაცებით ამუშავებდა სადისერტაციო თემას — „ნავსადგურების ფორმირებისა და განვითარების საკითხისთვის (შავი ზღვის აუზის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის მაგალითზე)“.

სპორტი და მეცნიერება, მეცნიერება და სპორტი... იგი საოცრად იოლად უთავსებდა მათ ერთმანეთს. სწავლაში მოწინავე, ფარნაოზი სპორტშიც მუდამ პირველი იყო. და მაინც ყველაზე დიდი სიხარული მას მოუტანა 1963 წელმა. როცა წარმატებით დაამთავრა მშობლიური უნივერსიტეტი და შორეულ ინდონეზიაში განეფო-ს თამაშების ჩემპიონიც გახდა.

ეს იყო დიდი სპორტული წარმატებების დასაწყისი. ფარნაოზი ბრწყინვალედ გამოდის გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საფრანგეთში გამართულ საერთაშორისო ტურნირებში, მსოფლიო ჩემპიონატსა და ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში. ბრინჯაოს რამდენიმე მედალი, რომელიც მის ვაჟკაცურ მკერდს ამშვენებდა. იყო ნიშანი, რომ ფარნაოზ ჩიკვილაძე თამამად ჩადგა მსოფლიოს მოწინავე ძიუდოისტთა რიგებში. ნიჭიერმა ათლეტმა თავისი ხანმოკლე სპორტული გზა ევროპის ჩემპიონის ტიტულით დაასრულა...

ძნელია ირწმუნო, რომ ფარნაოზ ჩიკვილაძე დღეს ჩვენს შორის არ არის. იგი უდროოდ გამოაკლდა ნათესავების, მეგობრების, ამხანაგების წრეს, მაგრამ მისი ხსოვნა მარადიულად დარჩება ჩვენში, ვინაიდან ასეთი ადამიანები უკვალოდ არ მიდიან წუთისოფლიდან.

ქართული ჭიდაობისა და სამბოს რესპუბლიკური ფედერაცია.
„ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭო.

## ფეხბურთი

## გონდემ რეკორდი დაამყარა

საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ტურის შეხვედრაში — „ნანტი“ — „კანი“ — კვლავ გამოიჩინეს თავი „ნანტის“ საუკეთესო თავდამსხმელებმა ბლანშემ და გონდემ. პირველმა 2 გოლი გაიტანა, ხოლო მეორემ — 3. ამრიგად, 36 გოლით საფრანგეთის საუკეთესო სნაიპერი გახდა გონდე. ეს რეკორდია, ვინაიდან საფრანგეთის ჩემპიონატებში აქამდე არავის გაუტანია 35 გოლზე მეტი. სნაიპერთა სიაში მეორეა ერბენი („სენტ-ეტიენი“) — 26 გოლი.

პირველი ლიგა დატოვეს „კანმა“ და პარიზის „რედ სტარმა“. მათ ადგილებს გაისად დაიკავებენ „რეიმსი“ და „მარსელი“. „რეიმსის“ დაბრუნებას პირველ ლიგაში ძალიან შეუწყო ხელი პოპულარული ფრანგი ფეხბურთელის რ. კოპას ოსტატურმა თამაშმა.

აი, ჩემპიონატის საუკეთესო ხუთეული:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ნანტი“ | 38 | 84:36 | 60 |
| „ბორდო“ | 38 | 84:36 | 53 |
| „ვალანსიენი“ | 38 | 58:44 | 52 |
| „ტულუზა“ | 38 | 61:46 | 46 |
| „სენტ-ეტიენი“ | 38 | 85:62 | 45 |

(საქ. ინფ.).

## ჰენტოს 72 მატჩი

ყველაზე მეტი მატჩი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე ჩატარებული აქვს „რეალის“ კაპიტანს ჰენტოს. 32 წლის ვეტერანი მონაწილეობდა ამ თასის ყველა გათამაშებაში და ჩაატარა 72 მატჩი.

ამას წინათ ჰენტოს ჰკითხეს, რომელი იყო ყველაზე ბედნიერი და ყველაზე უიღბლო მატჩები ამ თამაშებში მისი მონაწილეობით. პირველს ვეტერანმა მიაკუთვნა 1960 წლის მატჩი თასის ფინალში ფრანკფურტის „აინტრახტთან“, რომელიც „რეალმა“ მოიგო ანგარიშით 7:3, ხოლო მეორეს — 1962 წლის ფინალური მატჩი „რეალსა“ და „ბენფიკას“ შორის. იგი დასაწყისში ესპანელთა უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ უფრო ახალგაზრდა „ბენფიკამ“ სძლია მეტოქეს და ხელიდან გამოგლიჯა გამარჯვება — 5:3.

## ახალი ამბები

● ლ ო ნ დ ო ნ ი, 17 ივნისი. ადგილობრივი „უაიტ-სიტის“ სტადიონზე დაიწყო საბჭოთა და ინგლისელ მძლეოსანთა ტრადიციული საერთაშორისო მატჩი. შესანიშნავ წარმატებას მიაღწია ლენინგრადელმა ტ. შჩელკანოვამ, რომელმაც აჯობა მსოფლიო რეკორდსმენს მ. რენდს. ზუსტი გაზომვის შედეგად გამოირკვა, რომ მისი ნახტომი უდრიდა 679 სანტიმეტრს და არა 680-ს. ლენინგრადელის ნახტომი 3 სმ-ით აღემატება მ. რენდის მსოფლიო რეკორდს, მაგრამ ზურგქარი ქროდა ზომაზე მეტი (4,4 მ წამში) და ეს შედეგი რეკორდად არ ჩაითვლება. შჩელკანოვა მხოლოდ გამარჯვებას დაჯერდა ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონ მ. რენდთან ასპარეზობაში. რიგელმა ი. ლუსისმა შუბი ტყორცნა 85,26 მეტრზე, რაც საუკეთესო შედეგია მსოფლიოში წლეულს. 110 მეტრზე თარჯრბენში გაიმარჯვა ინგლისელმა დ. ჰემერიმ — 14,2. ასეთივე დრო აჩვენა ა. მიხაილოვმაც, მაგრამ იგი მკერდით უკან იყო. 10 კილომეტრზე რბენაში გაიმარჯვა საბჭოთა მორბენალმა გ. ხლისტოვმა — 28.49,4. (სხვათა შორის, ეს შედეგი უმჯობესია დიდი ბრიტანეთის რეკორდზე). საბჭოთა სპორტსმენის გამარჯვებითა და ახალი საკავშირო რეკორდის დამყარებით აღინიშნა 1500 მეტრზე რბენა. ლენინგრადელ ო. რაიკოს შედეგია 3.38,7. ჩვენმა ქალებმა მოიგეს აგრეთვე 80 მეტრზე თარჯრბენი — ტ. ტალიშევა და ნ. კულკოვა — 11.0. სიმაღლეზე ხტომაში ტოლი არ ჰყავდა ტ. ჩენჩიკს — 174 სმ. ბადროს ტყორცნა მოიგო თ. პრესმა — 58,90 მ. მასპინძლებმა მოიგეს 800 მეტრზე ქალთა რბენა (ე. სმითი — 2.06,2), 400 მეტრზე ვაჟთა რბენა (ჯ. ედი — 47,3). პირველი დღის შემდეგ დაწინაურდნენ საბჭოთა სპორტსმენები — 93:66.

● **მოსკოვი**, 17 ივნისი. დღეს აქ ჩამოვიდნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელები, რომლებიც რამდენიმე ამხანაგურ მატჩს გამართავენ ჩვენს ქვეყანაში.

● ხ ა რ კ ო ვ ი, 17 ივნისი. აქ დაიწყო წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ მოსკოვის, ბუდაპეშტისა და სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები გუნდები. მოსკოვისა და ბუდაპეშტის წყალბურთელთა შეხვედრაში გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 5:3.

● **მოსკოვი**, 17 ივნისი. აქ დამთავრდა დინამოელ მცურავთა საკავშირო პირველობა. 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში შესანიშნავი შედეგი აჩვენა მოსკოველმა ს. ბელიც-გეიმანმა — 4.19,4. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს დედაქალაქის წარმომადგენლებმა.

**ზურგქარმა უმუხთლა**

**ძვირფასი სტუმრები**

**წყალბურთელთა საერთაშორისო...**

**შესანიშნავი შედეგი**

## მ. ვ. ყაჩმაზაშვილი



ტრაგიკულმა შემთხვევამ მოულოდნელად შეწყვიტა საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი სამბისტისა და ძიუდოისტის, სპორტის ოსტატ მიხეილ (ნოდარ) ვლადიმერის ძე ყაჩმაზაშვილის ცხოვრება. რესპუბლიკის მოჭიდავეებმა დაკარგეს უაღრესად თავმდაბალი, სათნო და ვაჟკაცური ბუნების ადამიანი.

მ. ყაჩმაზაშვილი დაიბადა 1938 წელს ახმეტაში. სპორტული ნათლობა მან ბავშვობისას მიიღო. სწორედ მაშინ ეზიარა მიხეილი ქართულ ჭიდაობას, რომელიც საფუძვლად დაედო მის შემდგომ სპორტულ დაოსტატებას.

1956 წელს მ. ყაჩმაზაშვილს I თანრიგი მიეკუთვნა, ხოლო 5 წლის შემდეგ სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა. ამ ხნის განმავლობაში იგი წარმატებით ჭიდაობს სამბისტთა რესპუბლიკურ და საკავშირო ტურნირებში.

ნიჭიერმა, გამბედავმა და შრომისმოყვარე სპორტსმენმა მალე მიიქცია მწვრთნელთა ყურადღება და აი, მიხეილი სსრ კავშირის ძიუდოისტთა ნაკრებშია. სამწუხაროდ, მას არ დასცალდა თავისი უნარისა და შესაძლებლობის ყოველმხრივ გამოვლენა.

მიხეილ ყაჩმაზაშვილი აქტიურად მონაწილეობდა თავისი მშობლიური რაიონის, ახმეტის საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. იგი 1958 წლიდან მუშაობდა მწვრთნელად „კოლმეურნის“ რაისაბჭოში, სადაც არა ერთი და ორი მაღალი თანრიგის სამბისტი აღზარდა.

გულისხმიერი ადამიანისა და ნიჭიერი სპორტსმენის სახელი დიდხანს დარჩება ჩვენს ხსოვნაში.

ქართული ჭიდაობისა და სამბოს რესპუბლიკური ფედერაცია.
„კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭო.

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი მ. კაკაბაძე.

**ხვალ**

საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის ლექტორიუმში (ლენინის ქ. № 35) შედგება საქართველოს საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის ორგანიზაციისა და სპორტკავშირის პროპაგანდის ფედერაციების ბიუროს კულტურის სახალხო უნივერსიტეტის დასკვნითი მეცადინეობა.

დასაწყისი 17 ს. 30 წ.

**თბილისის სპორტულ [illegible]**

**ცხენოსნობა**. იპოდრომი. 19 ივნისი. ჭაბუკთა რესპუბლიკური პირველობა. დასაწყისი 16 ს.

**რეგბი**. „დინამოს“ სტადიონი. 19 ივნისი. ამხანაგური მატჩი. „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (ერევანი). დასაწყისი 19 ს.

**20 ივნისს, 16 საათზე, რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში შედგება თბილისის საზოგადოებრიობის კრება, მიძღვნილი ახალი ამბების სააგენტოს საქართველოს განყოფილების შექმნისადმი.**

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი.
საქართველოს მწერალთა კავშირი.
საზოგადოება „ცოდნა“.
საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოება.

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სპეციალური რესპუბლიკური სპორტული სკოლა-ინტერნატი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1966-1967 სასწავლო წლისთვის**

მოსწავლეთა ჩარიცხვა იწარმოებს VI, VII, VIII და IX კლასებში ფეხბურთის, მძლეოსნობის, ველოსპორტისა და ჭიდაობის განხრით. სკოლა-ინტერნატში მიიღებიან ორივე სქესის ბავშვები არაუმეტეს: 12 წლისა — VI კლასში. 13 წლისა — VII კლასში, 14 წლისა — VIII კლასში, 15 წლისა — IX კლასში.

შემომსვლელთა სპორტული მონაცემების შემოწმება ჩატარდება 20-27 აგვისტოს.

განცხადებები მიიღება 20 აგვისტომდე სკოლა-ინტერნატის კანცელარიაში.

განცხადებას უნდა დაერთოს: ცნობა მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ, პედაგოგიური დახასიათება, დაბადების მოწმობა (ან დაბადების მოწმობის ასლი), საექიმო კომისიის ცნობა ბავშვის ჯანმრთელობის შესახებ (ცნობას უნდა ახლდეს ფორმები: №№ 286, 191, 26), 3 ფოტოსურათი, ცნობა ოჯახის წევრთა რაოდენობისა და მათი შრომისუნარიანობის შესახებ, ცნობა მოსწავლის მშობლების ხელფასისა (ცალ-ცალკე) და სხვა შემოსავლის შესახებ.

სკოლა-ინტერნატის მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან ბინით, კვებითა და სპორტული მეცადინეობისთვის საჭირო ბაზებით.

სპორტული სკოლა-ინტერნატის მისამართია: თბილისი, გლდანი. თიანეთის ქ. № 11.

დირექცია.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11 უე 01615